



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოების რეკომენდაციები

1. საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 16 აპრილის 22/2008 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებასთან დაკავშირებით.

შენიშვნები:

- მოცემული დადგენილების 1.1. პუნქტის მე-5 აბზაცი საჭიროა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”მხარეები ვალდებული არიან საჩივარში, გარდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა, გარკვევით მიუთითონ საჩივრის ავტორის საკონტაქტო (საცხ. ადგილისა და მობილურის) ტელეფონის ნომრები, ასევე დამატებით მითითებული უნდა იქნას საჩივრის ავტორის ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- მოცემული დადგენილების 1.1. პუნქტის მე-6 აბზაცი საჭიროა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”საჩივრის განხილვისათვის, საარჩევნო კოდექსით დადგენილი საჩივრის განხილვის ვადების დაცვის მიზნით, მხარეთა დაბარების გარანტიის უზრუნველსაყოფად, მხარეები დაბარებულნი უნდა იქნენ ყველა იმ ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რაც მხარის მიერ მითითებული იქნება საჩივარში, მათ შორის ქალაქის ტელეფონით, მობილური ტელეფონით (როგორც ზარის განხორციელების, ისე მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით შეტყობინება), ფოსტით, ელექტრონული ფოსტით, დეკემით, ფაქსითა და სხვ.

მხარისათვის შეტყობინება უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში, საჩივრის განხილვამდე არა უგვიანეს 3 საათით ადრე მაინც.

მხარის ტექნიკური საშუალებით დაბარების თაობაზე წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული წესით საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირის მიერ უნდა შედგეს შესაბამისი მხარის ტექნიკური საშუალებით დაბარების აქტი.

მხარის ტექნიკური საშუალებით დაბარების აქტს თან უნდა ერთვოდეს ტექნიკური საშუალებით მხარის დაბარების დადასტურება, კერძოდ:

- დეკემით შეტყობინების შემთხვევაში – დეკემის ჩაბარების თაობაზე მიღებული შეტყობინება;

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



- ფაქსით შეტყობინების შემთხვევაში – შესაბამისი ფაქსის აპარატიდან ფაქსის მიღების დასტური.

ყველა სხვა შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ დადგენილი წესით შედგენილი მხარის ტექნიკური საშუალებით დაბარების აქტი, მხარეთა მიერ მათთვის შეტყობინების ფაქტის სადავოდ გახდომის მომენტამდე არის პრეზუმპცია, რომ აქტში შეტანილია სწორი მონაცემები.

მხარის ტექნიკური საშუალებით დაბარების აქტის დადგენილი წესით შევსებასა და მასში ნამდვილი ინფორმაციის შეტანაზე უფლებამოსილება ეკისრება საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას.

იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირის მიერ მხარესთან დაკავშირება ვერ მოხერხდა მის მიერ საჩივარში მითითებულ ვერც ერთი ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან დადგენილი წესით დაბარებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მხარე ითვლება დაბარებულად.

იმ შემთხვევაში, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეულია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესით მასთან დაკავშირების შეუძლებლობის გამო, საჭიროა დადგენილი წესით საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირის მიერ შედგეს მხარის ტექნიკური საშუალებით დაბარების აქტი.

- მოცემული დადგენილების 1.1. პუნქტის მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 აბზაცები საჭიროა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ტექნიკური საშუალებით მხარის დაბარების აქტი თან ერთვის კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ საჩივარს.

ტექნიკური საშუალებით მხარის დაბარების აქტის დადგენილი წესით შევსებასა და მასში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია საარჩევნო ადმინისტრაცია. საარჩევნო ადმინისტრაციის სახელით აღნიშნულ აქტს ადგენს ცესკო-ს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობისა და საარჩევნო დავების სამმართველოს თანამშრომელი, ხოლო აქტს მის შემდგენ პირთან ერთად ხელს აწერს ზემოაღნიშნული სამმართველოს უფროსი.

- მოცემული დადგენილების 1.1. პუნქტის მე-11 და მე-12 აბზაცები საჭიროა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

არასაპატიო მიზეზით მხარის გამოუცხადებლობა არ ქმნის საჩივრის განხილვის გადადების საფუძველს. საპატიო მიზეზად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორს მაჟორული გარემოებანი (მხარისათვის დადგენილი წესით შეტყობინების არარსებობა).

მხარეს, რომელიც მონაწილეობს საჩივრის განხილვაში მისი მოთხოვნის საფუძველზე სხდომის განხილვამდე არა უგვიანეს 3 საათით ადრე, ხოლო ასეთი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში



სხდომის დაწყების წინ, უნდა გადაეცეს მისი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტები და ასლები.

- მოცემული დადგენილების 1.1. პუნქტის მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 აბზაცები საჭიროა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მხარეს, რომელიც მონაწილეობს საჩივრის განხილვაში, უნდა ეცნობოს საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილება. ხოლო გადაწყვეტილება, კომისიის სხდომის ოქმთან ერთად მხარეს უნდა ჩაბარდეს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღის 12 საათამდე. კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის ვადების გათვალისწინებით.

მხარისათვის გადაწყვეტილების შეტყობინებისა და მისი ჩაბარების მიმართ მოქმედებს წინამდებარე დადგენილებით მხარის ტექნიკური საშუალებით დაბარების მიმართ დადგენილი წესები.

მხარეს, რომელიც საპატიო ან არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა საჩივრის განხილვაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომისიის სხდომის ოქმთან ერთად უნდა ჩაბარდეს წერილობით. მხარის მოთხოვნით შესაძლოა ჩაბარება მოხდეს კომისიის ადგილსამყოფელის მიხედვით. ასეთი მოთხოვნის არ არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომისიის სხდომის ოქმთან ერთად მხარეს ეგზავნება წერილობით.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა აითვლება მისთვის წერილობითი გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან.

იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ ადგილზე ჩაბარების მოთხოვნის დროისათვის, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომისიის სხდომის ოქმთან ერთად კომისიის მიერ უკვე გაგზავნილია მხარისათვის, ამ შემთხვევაში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა აითვლება კომისიის მიერ გაგზავნილი გადაწყვეტილებისა და კომისიის სხდომის ოქმის ჩაბარების მომენტიდან.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და ადგილი (დაწესებულების დასახელება და მისამართი), სადაც შეიძლება მისი გასაჩივრება.

2. მხარის ტექნიკური საშუალებით დაბარების აქტის ფორმასთან დაკავშირებით კი მოგახსენებთ შემდეგს:

- საჭიროა დაზუსტდეს და მითითებული იქნეს თუ კონკრეტულად რომელი საშუალებით მოხდა მხარისთვის შეტყობინება;
- თუ გამოყენებული იქნა რამდენიმე ტექნიკური საშუალება, მაშინ უნდა მიეთითოს თითოეული ტექნიკური საშუალება, რომლითაც მოხდა მხარის შეტყობინება;



- მიუხედავად იმისა, ერთი ტექნიკური საშუალება იქნა გამოყენებული თუ რამდენიმე, საჭიროა თითოეული ტექნიკური საშუალების მიმართ მოხდეს დაზუსტება, თუ კონკრეტულად ვის მიერ, რომელ საათზე მოხდა მხარისათვის შეტყობინება;
- საჭიროა დაზუსტდეს, შეტყობინება მოხდა უშუალოდ საჩივრის ავტორისათვის, თუ მისი არყოფნის გამო მხარის მიერ საჩივარში მითითებულ საკონტაქტო საშუალებებით სხვა პირისათვის;
- უნდა დაემატოს გრაფა, იმ შემთხვევისათვის, თუ ვერ ხერხდება მხარესთან დაკავშირება (ამ გრაფაშიც უნდა იყოს ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი დამატებითი გრაფები).